საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მეხუთე

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 100,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩვეულებრივ [illegible]
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება:
1 გვ. 3,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 556 კვირა, აგვისტოს 26 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000

დამწუხრებული ძმები ვიქტორ, ალექსანდრე, ილიკო და კონსტანტინე სამსონის-ძენი ასათიანები, დები ევდუსი წერეთლისა, ვასასი აბულაძისა, მარიამი, აგრაფინა და ეკატერინე ასათიანები და სიძეები შალვა წერეთელი და ვანო აბულაძე აცნობებენ ნაცნობთ, რომ კვირას 26 აგვისტოს დღის 12 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაკარგულის

დავით სამსონის ძე ასათიანის

გარდაცვალების ორმოცის თავი.

2—2

ქობულეთში გარდაიცვალა ნაძალადევის მუშათა წრეში კარგად ცნობილი მოხუცებული

ეფროსინე ძაგნიძე

რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს დამწუხრებულნი შვილები—გიორგი, გალაქტიონ, ანდრო და ნატო, რძლები ლიუბა, კილია და ზინა ძაგნიძეები და სიძე ბესარიონ დოლაძე. გადმოსვენების შემდეგ დაკრძალვა ნაძალადევში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული ქრონიკაში. № 344.—1—1

საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის

სენაკის დრ. სამაზრო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. აგვისტოს 26-სათვის ქ. ახალ-სენაკში მოწვეულია პარტ-ორგანიზაციების

სამაზრო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა ფედერაციის საგარეო და საშინაო მდგომარეობა.
2. პარტორგანიზაციების როლი საბჭოთა აღმშენებლობაში.
3. პარტიული მუშაობა.
4. დროებითი სამაზრკომის მოხსენება.
5. მოხსენებანი ადგილებიდან.
6. მიმდინარე საკითხები.
7. სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

დელეგატები იგზავნება პარტორგანიზაციების მიერ, ყოველ 20 წევრზე ერთი. ორგანიზაცია, რომელშიაც ირიცხება 20-ზე ნაკლები ნამდვილი წევრი, მაინც გზავნის ერთ დელეგატს. ახალგაზრდათა ორგანიზაციებს უფლება აქვთ **სათათბირო** ხმით თითო წარმომადგენლის გამოგზავნისა.

კონფერენცია გაიხსნება საბჭოთა თეატრში, დღის 12 საათზე.

ს. მემარცხენე ს.-ფ. პ. სენაკის დრ. **სამაზრკომი.**

საქ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის

შორაპნის სამაზრო კომიტ. დადგენილებით

კვირას, აგვისტოს 26 ქ. შორაპანში მოწვეულია ს.-მემ. სოც.-ფედ. პარტიის

შორაპნის სამაზრო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო.
2. პარტიული მუშაობა.
3. მოხსენება სამაზრო კომიტეტისა თავისი მოქმედების შესახებ.
4. მოხსენებანი ადგილებიდან.
5. მიმდინარე საკითხები.
6. არჩევნები სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის.

მცირერიცხოვანი ორგანიზაციები გზავნიან კონფერენციაზედ თითო დელეგატს, მრავალრიცხოვანები კი—ყოველ 25 წევრზედ თითო დელეგატს. ახალგაზრდათა და ქალთა კომიტეტებს შეუძლიათ გამოგზავნონ თითო წარმომადგენელი სათათბირო ხმით. დელეგატებს ირჩევს წევრთა საზოგადო კრება.

კონფერენცია გაიხსნება დილის 11 საათზედ შორაპნის მუშათა კლუბის დარბაზში.

შორაპნის სამაზრკომი.

ა. წ. აგვისტოს 27-ს დილის 10 საათზე

ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქ. № 13) იწარმოება წინასწარი გამოცდები იმ პირთა, რომელთაც სურთ შესვლა

მოსკოვის ქართულ დრამატიულ სტუდიაში,

რომელიც არსდება მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორის ვ. ლ. მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით; აგვისტოს 28-ს კი დანიშნულია საკონკურსო გამოცდები იმ პირთა, რომელნიც წინასწარ გამოცდებს ჩააბარებენ. საკონკურსო გამოცდებით მიღებულნი ჩაირიცხებიან სტუდიაში სტუდიის ხარჯზე.

ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე ხელოვანთა სასახლეში საღამოს 7 საათიდან 9 სათამდე

— გერმანიაში ემზადებიან შტრეიზემანის დიქტატურის გამოს ცხადებლად.

— გერმანიაში მუშები აღშფოთებულნი არიან სოც.-დემოკრატების მოქმედებით და ზოგგან სცემენ კიდეც.

— მთავრობის მიერ გაუქმებულად გამოცხადებული ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები სამოქმედოდ ემზადებიან.

— გერმანიის ფაშისტები გამოსასვლელად ემზადებიან.

— საფრანგეთის ნოტას ლონდონში კმაყოფილებით შეხვდნენ.

— ჩინეთის სტუდენტობა წერილობით მიესალმა ამხ. კარახანს.

— საყოველთაო გაფიცვა საბერძნეთში.

— სტამბოლის ევაკუაცია.

ყოფილ მენშევიკთა ყრილობა

გუშინ საქართველოს დედა ქალაქში გაიხსნა სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობა. ეს მოვლენა მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია. მენშევიკური პარტია, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მოქმედებდა საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა, სრულიად უმართებულოდ, ქართველი ხალხის დიდ ნაწილზედ და რომელიც მხოლოდ 1918 წლის 26 მაისის აქტის შემდეგ იწოდებოდა **საქართველოს** სოციალ-დემოკრატიულ პარტიად, დღეს თვითლიკვიდაციის პროცესში იმყოფება.

რამდენათაც საშური და სანატრელი იყო ბედი მენშევიკური პარტიის აღმოცენებისა და ზრდისა საქართველოში, რამდენათაც უმაგალითო გამარჯვებას აღწევდა ეს პარტია არჩევნებში, იმდენათ ტრაგიული და მწარე გამოდგა მისი დასასრული იმდენათ უმაგალითო გამოდგა მისი დამარცხების უკანასკნელი დღენი.

ამ ათიოდე წლის წინათ რომ ვინმე ბოროტ წინასწარმეტყველს გამოეთქვა ის უცნაური აზრი, რომ 10 წლის შემდეგ ჟორდანია-წერეთელი პუანკარე-კერზონის აუდენციის მოლოდინში იქნებოდენ, რომ ისინი შეეცდებოდენ ინგლისის მიერ თავის კოლონიებიდან შედგენილი ფერადი ჯარების შემოყვანას საქართველოს მიწა-წყალზე, ან რომ ისინი და მათი პარტია დაუკავშირდებოდენ ძველი თავად-აზნაურული წოდების ელემენტებს, სასულიერო პირთა „ძლევა-მოსილებისა და ლოცვა-კურთხევას“ და ყოველი ჯურის რეაქციონერებს, ასეთ წინასწარმეტყველს საგიჟეში დაამწყვდევდნენ უსათუოდ.

მენშევიკური პარტია რეაქციის დროს რადიკალური და რევოლიუციონური, რევოლიუციის დროს კონტრევოლიუციას მიეკედლა.

რუსეთის რევოლიუციის პროცესში მენშევიზმი კლასთა თანამშრომლობის პრინციპით გამოვიდა. რუსეთის რევოლიუცია ბურჟუაზიულ რევოლიუციათად დასახა და მხოლოდ ფეოდალური ნაშთების მოსპობა დაისახა მიზნად. პოლიტიკური ორგანიზაციის მხრივ მან პრაქტიკულად შეეცადა „დემოკრატიული“ ცენტრალიზმის გატარებას და ამით ძირშივე ჩაახრჩო ნაციონალური პრობლემის გადაჭრის შესაძლეობა. რუსეთის რევოლიუციის ღრმა სოციალური და ნაციონალური ამოცანების ვერ გაგებამ, მარქსისტული ორტოდოქსიით სიარულმა განდევნა მენშევიზმი რევოლიუციის სინამდვილისაგან.

საქართველოში კიდევ მეტად კურიოზული იყო და ამავე დროს მეტად ტრაგიული მენშევიზმის პოლიტიკური ფილოსოფია. იგი ეროვნული ნიჰილიზმიდან ფაქტიურად შოვინიზმში გადავიდა, ნეიტრალობის პოლიტიკიდან ერთა ლიგაში შესვლა ისურვა, კლასთა თანამშრომლის პრინციპის გატარებით სამეურნეო სფეროში სპეკულიანტური კაპიტალი გააბატონა. გლეხურ ქვეყანაში გლეხების წინააღმდეგ ამხედრდა სიტყვით და მას მიამატა ცეცხლი და მახვილი. ფორმალურად „არც იქეთ არც აქეთ“ პოლიტიკამ, ფაქტიურ იზოლიუციაში მოახვედრა. საბჭოთა რესპუბლიკების სალტემ და მათი საწინააღმდეგო ძალების დროშამ ამიერ კავკასიაში მას ვერ ასწავლა ფაქტიური მდგომარეობის შეფასება, პოლიტიკური კავშირის ძებნის საჭიროება სათანადო გზით.

1921 წ. თებერვლის ამბებმა დააგვირგვინეს მენშევიკების პოლიტიკური სიბრძნე და სიმაგრე.

უკანასკნელი აქტი, საქართველოს უკანასკნელი ქალაქის ნავთსადგურიდან გაქცევისა ხალხის ქონებით და ბათომში დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე ყველა არა მენშევიკური ფრაქციების მიერ (და თვით მენშევიკების ერთი ლიდერის სიტყვითაც) მენშევიკურმა მთავრობამ მიიღო ქართველი ხალხის წყევა და კრულვა, რომელიც მნიშვნელოვანი ფურცელი იქნება ჩვენი ისტორიისა.

...და შემდეგ ახალი პოლიტიკური კომბინაციები, ჭორები, დაპირებანი, იმედები, ავანტიურები, გამოსვლანი, საბოტაჟი, ხელის შეშლა, ბანდიტური თავდასხმები, მსოფლიოს ყაჩაღთა კონფერენციისადმი მონური ნოტები, ინტერვენციისათვის ცდები და სხ. და სხ.

იმავ არა მენშევიკური პარტიების თანამშრომლობა მენშევიკებთან, რომლებმაც ისტორიული დოკუმენტი მოგვცა მენშევიკთა მოღალატეების შესახებ დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზედ.

და შემდეგ... შემდეგ მენშევიკთა ცეკაში უთანხმოება. თევზაია—გელეიშვილის განცხადება. მენშევიკ მუშათა კონფერენციები და დეკლარაციები. ტფილისის მასშტაბით მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია. ნაციონალ-დემოკრატების დიშლა, მათი თვითლიკვიდაცია, ხვალ კი სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობა მენშევიკური პარტიის თვითლიკვიდაციისათვის.

რაოდენი შეცდომა, რაოდენი დაუკვირვებლობა, რაოდენი სიბეცეა მენშევიკების არსებობის გასწვრივ. დღეს კი გამოფხიზლებული მასა თვით ანგრევს მენშევიკურ კერას, თვით სპობს მენშევიკურ პარტიას, თვით ანადგურებს მათ თეორიასა და პრაქტიკას.

ეს ისტორიული აქტი დიდი მნიშვნელობის არის სოციალური პედაგოგიკის თვალსაზრისით, მშრომელი მასის პოლიტიკურ აღზრდას, სწორი პოლიტიკური შეხედულების გამომუშავებას ხელს შეუწყობს მიმდინარე ყრილობა.

ჩვენ მენშევიკური პარტიის უნიადაგობაზედ და მისი დამარცხების უნიადაგობაზედ ვწერდით და ვლაპარაკობდით მთელი 25 წლის განმავლობაში. სანამ მათ ხელები ქონდათ შეკრული, ბერ-მონაზვნების და ფეოდალების პარტიათ გვთლიდენ, არავითარ პროვოკაციას არ ერიდებოდენ, როდესაც ხელები გაინთავისუფლეს ახლანდელი ფაშისტური მეთოდით დაგვიწყეს რბევა, ბიუროების დამტვრევა, დროშების ხევა, დიდ მებრძოლთა სურათების ფეხით გათელვა. საბჭოთა წყობილების დამყარებიდან, როდესაც რბევას ველარ შესძლებდენ, ისევ ძველ პროვოკაციას დაუბრუნდნენ, პოლიტიკური ჭაობი დააყენეს, სიბინძურისა და შმორის სუნით მოშხამეს ატმოსფერა.

დღეს ბრძოლა დამთავრებულია. შეგნების გზაზე დამდგარი ხალხი აღარ ემორჩილება მენშევიკურ გავლენას.

ამ აქტს აქვს სხვათა შორის უაღრესად ეროვნული მნიშვნელობაც, საქართველოს არ ყოლია არც ერთი ისეთი ძლიერი მტერი თავისი ეროვნული თავისუფლებისა, როგორიც იყვნენ მენშევიკები.

გარეშე მტერი ერს ასუსტებს, მაგრამ სიცოცხლეს, მოძრაობას და თავდაცვის უნარსაც უჩენს. შინაგანი მტერი ერისა არის უსაშინელესი მტერი.

ქართველი ხალხის უდიდესი უბედურება იყო, როდესაც მენშევიკების ჩაგონებით ხალხი იძახდა ძირს ავტონომია, არ მინდა თვითმართველობაო,

ქართველი ხალხი იარსებებს მანამ, სანამ მას შერჩება ეროვნული შეგნება თვით არსებობისა და ეროვნული თავისუფლების ღირებულებისა.

რევოლიუციით ახალი ერა იწყება საქართველოს ცხოვრებაში. მენშევიზმი კვდება—საქართველო სცოცხლობს. მენშევიზმი მარცხდება—საქართველო იმარჯვებს.

პრესა

„ბიულეტენი“ № 3 (ორგანო მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრთა სრ. საქ. ყრილობის მომწვევ საინიციატივო ბიუროსი) სწერს:

„დღეს იხსნება სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკური პარტიის წევრთა ყრილობა.

დღეს უნდა გადასწყდეს უდიდესი საკითხი მენშევიკური პარტიის არსებობის შესახებ.

დღეს სრულუფლებიანმა ყრილობამ უნდა გადასჭრას მეტად რთული და სერიოზული საკითხები, რომლებსაც აქვთ არა მარტო დღევანდელი დღის მნიშვნელობა, არამედ ისინი თავის დიდ კვალს დასტოვებენ ჩვენი საზოგადოებრივ მოძრაობის ისტორიაში.

არსად სოც. დემოკრატიული პარტია არ იყო ისე ძლიერი, როგორც ჩვენში.

არსად სოც.-დემოკრატიულ პარტიას არ ჰქონია საშუალება მოქცეოდა სახელმწიფოს სათავეში, როგორც ჩვენში.

და, სამწუხაროთ, არსათ სოციალისტურ პარტიას არ განუცდია ისეთი კრახი, როგორც ჩვენში.

დაინგრა დიდი პარტია, დიდი რევოლიუციონური წარსულით დატვირთული...

დაინგრა ისე, როგორც ძველი ქვეყნის კულტურა.

დიდ რევოლიუციონურ წარსულის მქონე პარტიამ დაუშვა დიდი შეცდომები.

და ისტორიამ არ აპატია ეს შეცდომები. ისტორიამ დაანგრია ის.“

ბიულეტენი აღნიშნავს მენშევიკების წასულს და განაგრძნობს:

მაგრამ დიდი პარტია ასცდა დიდ გზას.

მან აუხვია პროლეტარულ გზას და თავი ამოჰყო ბარიკადების იქით...

და დღეს დიდი უმრავლესობა მისი წევრებისა, მთელი აქტივი პარტიის ზურგს აქცევს იმ გზას, რომელიც დამღუპველი იყო პროლეტარიატისათვის და უბრუნდება ძველ რევოლიუციონურ და სოციალისტურ გზას, იმ გზას, როცა ჩვენში არ იყო, პარტიამ არ იცოდა ეს ორი გამთიშველი სიტყვა: „ბოლშევიზმი და და მენშევიზმი“; იყო ერთი გამორკვეული მიზანი და ბრძოლის წყურვილი ამ მიზნის მისაღწევათ.

დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით ძველ პარტიას...

ჩვენ მას ვაბარებთ ისტორიის არქივს...

ჩვენ არ დავივიწყებთ მის აქტივს, მაგრამ ანგარიშს გუწევთ მის პასივსაც.

და ვამბობთ, რომ ამ პარტიას არ აქვს ადგილი ჩვენში, პროლეტარულ ოჯახში...

მოკვდა მენშევიკური პარტია...

მას ასამარებენ დღეს ის პროლეტარები და გლეხები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში აშენებდენ მას...

ასამარებენ, ვინაიდან ამას მოითხოვს ჩვენგან რევოლიუციის ინტერესი, მისი უმაღლესი კანონი—რევოლიუციის გამარჯვება...

ჩვენ ვქნიდით და ვამაგრებდით ამ პარტიის რევოლიუციისათვის...

ჩვენ ვშლით დღეს მას რევოლიუციისათვისვე...

არაა საჭირო იერიშიადა...

არაა საჭირო ცრემლთა ღვრა „ბაბილიონის მდინარეთა ნაპირებზე“...

საჭიროა შეგნებულად გადაჭრა საკითხის და მტკიცეთ დადგომა იმ გზაზე, რომელსაც ჩვენ მივყევართ მშრომელი ხალხის სრულ გამარჯვებისაკენ.

მენშევიკური პარტია მოკვდა...

და მის წიაღში ათეული წლების განმავლობაში მყოფი მუშები და გლეხები დღეს თავს იყრიან მშრომელთა მთლიან ოჯახში...

მენშევიკური პარტია დაინგრა...

გაუმარჯოს მშრომელი ხალხის მტკიცე რაზმს!..

დიდი რევოლიუციონური წარსულის პარტია დღეს სამარდება... მაგრამ რევოლიუცია წინ მიდის...

გაუმარჯოს ჩვენს მტკიცე გზას მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციისაკენ...

მეორე ინტერნაციონალს მოატყდა ერთი მძლავრი ბოძთაგანი...

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

თუ რისთვის ვებრძოდით ჩვენ მენშევიკებს და რას ამბობს დღეს თვით გამოფხიზლებული მენშევიკები გასაგებია, ამ წერილს კომენტარიები არ ესაჭიროება.

გაზეთი
„ტრიბუნა“
ენკენისთვის 1-დან ეღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად	3.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო პირთათვის	4.000.000 „
ცალკე ნომერი	150.000 „

ტელეგ-დეპეშები

შტრეზემანის დიქტატურა

დემოკრატიულ კათოლიკურ-სოციალისტური და ნაწილობრივ სახალხო ხარტიის გაზეთები ამზადებენ გერმანიის ხალხს შტრეზემანის დიქტატურისათვის. ახლოა დღე, როდესაც კანცლერის დიქტატურას საჯაროთ გამოაცხადებენ.

აღელვებულნი არიან შემთანხმებლების მოქმედებით

კუნოს გადადგომამ და შემთანხმებულ სამინისტროს შედგენამ ცოტათი დაამშვიდა ხალხი იმ იმედით, რომ ახალი მთავრობა, რომელსაც ჭკუა უნდა ესწავლა კუნოს მოქმედებით, შეამსუბუქებდა მუშების მდგომარეობას. მართალია მოძრაობა თანდათან ქრება, მაგრამ მან დიდი გავლენა მოახდინა ხალხის შეგნებაზე. პროფკავშირებში მუშები სცემენ და აგდებენ რეფორმისტების მეთაურთ და აღელვებულნი არიან სოც.-დემოკრატების მოქმედებით. ბერლინში მელითონეებმა სცემეს შემთანხმებლების კავშირის მდივანს ურიხს, რომელიც იყო გაფიცვის შემფერხებელი. ეს არის ბუნებრივი უკმაყოფილება ხალხისა შემთანხმებლების მოქმედების გამო.

შტრეზემანის რეცეპტებმა ვერ უშველეს.

შტრეზემანის მთავრობის არსებობის მერვე დღეს, მარკა დროებითი შეჩერების შემდეგ კვლავ საშინლათ დაეცა, შავ ბირჟაზე დოლარის ფასი არაჩვეულებრივ სისწრაფით გაიზარდა, მაგალითად იგი უკვე 7 ნახ. მილ. მარკათ ფასობს.

ბერლინის საფაბრიკო-საქ. კომიტეტის სხდომა

ბერლინში საფაბრიკო-საქ. კომიტეტების დათხოვნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნათ გამართა საფ.-საქ. კომიტეტების სხდომა, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. ცნობამ პროფინტერნის შემოწირულების შესახებ (1 მილ. მარკა ოქროთი) ალტაცებული ტაში გამოიწვია [illegible] დაწყდა გაეგზავნოს რუსეთის პროლეტარიატს მადლობის დეპეშა. სხდომამ მიიღო დადგენილება, რომელიც მოუწოდებს საფ.-საქ. კომიტეტებს მხნედ მოემზადონ ბრანდენბურგის საფ.-საქ. კომ-ის ყრილობისათვის, რომელიც დანიშნულია 9 სექტემბრისათვის და ერთსულოვნათ წინააღუდგენ მწარმოებლების შემოტევას.

გერმანიის ფაშისტები ახალ გამოსვლას აწყობენ

გაზ. „როტე ფანე“ აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ 2 სექტემბერს ფაშისტები ახალ გამოსვლას აწყობენ, გაზეთები მოუწოდებენ მუშებს, წვრილ გლეხობას, მოსამსახურეებსა და მოხელეებს სათანადო პასუხი გასცენ ამ გამოსვლას.

კმაყოფილნი არიან.

საფრანგეთის საპასუხო განცხადებას ლონდონში კმაყოფილებით შეხვდენ. „ტაიმსი“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ მუხლს, რომელშიაც საფრანგეთი აცხადებს, რომ მას განზრახვა არა აქვს დაიპყროს გერმანიის მიწა-წყალი და შესცვლის თავის მოქმედებას იმ დღიდანვე, როგორც კი გერმანია შესწყვეტს წინაალმდეგობას დაპყრობილ ოლქებში.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აგვისტოს 23.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე და გზა-ტკეცილებზე ეროვნულ რესპუბლიკების ენათა ხმარების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ სახელმწიფო დაწესებულებათა ენისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლების უზრუნველყოფის შესახებ მიღებული დეკლარაციის ძირითადი პრინციპების განსახორციელებლად და ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამა აგვისტოს 13-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-5 მუხ. ასრულებისათვის,—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დებულება—ამიერ-კავკასიის რკინის-გზებზე და გზა-ტკეცილებზე ეროვნულ რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ.

2. დაეკისროს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ, რაც შეიძლება მოკლე ვადის განმავლობაში, წარმოუდგინონ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად დებულებანი — ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის გზათა სახალხო კომისარიატის პორტების განყოფილებაში ეროვნულ რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რეს. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მაგიერ **იფანიშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის მაგიერ **ტრეივასი.**

დებულება

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე და გზა-ტკეცილებზე ეროვნულ რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ.

1. გზათა სამმართველოსათვის.

ა.—შეკითხვა და პასუხი ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობის დაწესებულებათა მიმართ უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

ბ.—ყოველი,—გამოუნაკლისად,—წარწერა, განცხადება, ბრძანება, ცირკულიარი, წესები, განკარგულება და სხვ., რაც გამოფენილი იქნება მოქალაქეთა საყოველთაო ცნობისათვის სადგურზე, კონტორაში და სხვ. შენობაში, აგრეთვე გზებზე,—აუცილებლად უნდა იწერებოდეს,—ერთსა და იმავე დროს,—ამიერ-კავკასიის ფედერაციის ოთხ ენაზე: სომხურსა, ქართულსა, თურქულსა და რუსულზე, ხოლო წარწერა, განცხადება, ბრძანება და სხვ. ადგილობრივ ხასიათისა—ამა სიტყვის ვიწრო მნიშ-

საინტერესო კამათი ეროვნული საკითხის გარშემო

5

კომუნისტების ეროვნული პოლიტიკა

რუსულ შოვინისტურ მოძრაობის აღმოფხვრა ყოველ პასუხისმგებელ თანამშრომლის მეხსიერებიდან მეტად დიდი რთული, ძნელი საქმეა. თვით ასეთ მიზნის დასახვას და ამისათვის ბრძოლას ჩვენ კომპარტიის გამჭრიახობას ვაკუთვნებთ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ნაციონალური პრობლემის გადაწყვეტა.

მაგრამ კომუნისტური პარტია აქაც არ გაჩერდა, ის მოითხოვს სახელმწიფოებრივ უფლების აპარატიდან ისეთი **ეკონომიური მდგომარეობის შექმნას**, როცა ჩაარჩობს და შეუძლებლად გახდის შოვინისტურ პოლიტიკის წარმოებას.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ რუსეთის გავლენას ერებზე დიდი ეკონომიური საფუძველი ქონდა. რუსეთის ცენტრი მექანიკურად ყოველ მხრივ იყო მოწყობილი, განაპირა ადგილები კი წარმოადგენდენ ნედლი მასალის ქარხანას, რომელზედაც ბრძანებლობდენ რუსეთის ძლიერი ცენტრები.

— ერებისათვის მაქსიმუმი ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოება!—აი მორიგი ლოზუნგი კომპარტიისა ეროვნულს საკითხში. ამ მიმართულებას აქვს დაუფასებელი მნიშვნელობა, ამ მხრივ არსებითად მეტად დიდი მუშაობა სწარმოებს.

მაგალითისათვის ჩვენ ავიღებთ საქართველოს მაგალითს. ქართველი შოვინისტები ამბობდენ, რომ რუსეთმა საქართველო გაძარცვაო. ეს არის და იყო მტკნარი სიყალბე, დაბალი ღირსების კონტრ-რევოლიუციონური ჭორი. ნამდვილი მდგომარეობა სხვაა. ნავთის მრეწველობის აღსადგენად რუსეთმა შემოიტანა და ქართველ ხალხს სრულიად უსასყიდლოდ მისცა 30 ვაგონი ძვირფასი მექანიკური მოწყობილება, რომელიც ჩვენდა სამარცხვინოდ დღესაც უმუშაოდ გვიგდია კახეთში. რუსეთმა აგრეთვე უსასყიდლოდ გადმოგვცა მეტად ძვირფასი შალეულობის საქსოვი ქარხანა, რომელიც მალე უნდა ამოძრავდეს. რუსეთის ფინანსიური და ტეხნიკური დახმარებით შენდება მცხეთაში შესანიშნავი წყლით მოძრავი ელექტრონის სადგური, ეხლა ჯერი დიდი ცემენტის ქარხნის შესახებ დგას, რომელიც უნდა მოეწყოს საქართველოში და რომელსაც ჩვენი ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ არ ვეხებით აქ სხვა მზგავს ფაქტებს ჩვენი ცხოვრებიდან. მარტო ზემოდ აღნუსხული საქმეების დაწყებას და გაკეთებას სულ ორიოდე-სამიოდე წლის განმავლობაში დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს და მოასწავებს კომპარტიის ეროვნულ პოლიტიკის გადატანას ეკონომიურ ცხოვრებაში. ამბობენ, რომ საქართველოში უნდა მოხდეს დაწესებულებათა ნაციონალიზაცია, გაეროვნებაო. ამას მეტად მცირე მნიშვნელობა აქვს. **კულტურის ნაციონალიზაცია შეიძლება მხოლოდ ეკონომიური ნაციონალიზაციის გზით.** საქართველოში ეკონომიური კულტურის ნაციონალიზაცია უკვე ხდება, რაიცა გამოიწვევს და დააგვირგვინებს კულტურულ ნაციონალიზაციას.

ამ ორომტრიალის შემყურენი, ჩვენ, მემარცხენე ფედერალისტები, ბედნიერად ვსთვლით თავს, რომ კომპარტიის დადებით მხარეებს თავის დროზე აუღეთ ალღო და მით მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს ეროვნულ აღმშენებლობაში. მალე დადგება დრო, როცა მემარჯვენე ფრაქციები დაინახავენ თავიანთ პოლიტიკის საბოლოო გაკოტრებას, თუ იგი ჯერ კიდევ არ დაუნახავთ.

მაგრამ კომუნისტურ პარტიის მიერ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა ჩვენ მიერ გაუშუქებელი იქნება თუ არ აღვნუსხეთ კიდევ ერთი მეტად საგულისხმიერო მომენტი.

ამ მომენტს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამხ. სტალინმა. ეს მომენტია არა ერთი ნაციონალიზმის შენიშვნა რუსეთის ცხოვრებაში, არამედ რამდენიმე ნაციონალიზმის. რუსეთში გაბატონებული იყო რუსული ველიკო-დერჟავული ნაციონალიზმი; ანალოგიურ ნაციონალიზმს უეჭველად ადგილი ქონდა საქართველოში, აზერბეიჯანში, სომხეთში, თურქესტანში და სხ.

ჩვენი საზოგადოებისათვის უფრო ნაცნობია ქართული ნაციონალიზმი საქართველოში და ამიტომ საქართველოს ამბებზე განვმარტავთ საკითხს.

ნაციონალური საკითხი იქ იბადება, სადაც მცირე ერები ბინადრობენ. ქართველი ხალხი მუდამ იზნიქებოდა რუსული ნაციონალიზმის სიმძიმის ქვეშ, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხანაში და მის ინტელიგენციაში (მაგალითად ნაციონალ დემოკრატიული პარტია, მენშევიკები და სხ.) უეჭველად აღიზარდა ქართული ნაციონალიზმი, რომლითაც უეჭველად იჩაგრებოდა სომხის, ოსის და სხვათა ელემანტარული ეროვნული უფლება. ესე იგი ჩვენს წინაშე გადაშლილია ცენტრალური და ადგილობრივი ნაციონალიზმი, შოვინიზმი, მაგრამ ვინაიდან ნაციონალისტური შოვინიზმის აღმოფხვრა ერთად ერთი პირობაა საღი ნაციონალური პოლიტიკის განვითარებისათვის, ამიტომ კომუნისტურ პარტიის თათბირმა ორივე ტიპის და სახის ნაციონალიზმს გამოუცხადა ბრძოლა.

— „ჩვენ უნდა აღმოვფხრად ჩვენი ნაციონალიზმი და ამაშია ჩვენი მორიგი ამოცანაო“—ამბობს მანუილსკი. ესავე აზრი უფრო მარტივად აღნუსხა ამხ. სერგო ორჯონიკიძემ. „ჩვენ აშკარად და გარკვევით უნდა ვსთქვათ, განსაკუთრებით იმათ, რომელნიც გამოვედით მცირე ერებიდან და მათში ვმუშაობთ, რომ თუ ამხანაგ ველიკოროსებს აქვთ სრული უფლება და მოვალენი არიან დათურგნონ ველიკოდერჟავული შოვინიზმი, რაშიაც ჩვენც მივეხმარებით მათ, ამავე დროს ჩვენ უნდა დავსცეთ ჩვენს ნაციონალისტებს, რასაც სულთან—გალიევშჩინა კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს“ (იხ. სიტყვა ორჯონიკიძესი).

ეს აზრი, შეიძლება ითქვას, მთელი კომპარტიის აზრია, მაგრამ არა დოგმატიურად მიღებული პარტიის მიერ. სტალინი ამბობს ყრილობის მოხსენებაში: „ნეპმა აღზარდა არა მარტო რუსული შოვინიზმი, ის ზრდის ამავე დროს ადგილობრივ შოვინიზმსაც... **ეს ადგილობრივი შოვინიზმი, რასაკვირველია, თავისი ძალით არ წარმოადგენს ისეთ საშიშროებას, რომელსაც შეიცავს ველიკორუსული შოვინიზმი**“.

ამ განცხადებით ბოლო ელება იმ შიშს, რომ ნაციონალიზმის წინაალმდეგ დაწყებულ ბრძოლაში შეიძლებოდა დაჩაგრულ ერის ნაციონალიზმის დამარცხებას თანგადაყოლოდა ბეჩავ ერის ჩვეულებრივი ნაციონალური უფლებები, ხოლო მძლავრი ველიკორუსული ნაციონალიზმი კი ხელუხლებლად დარჩენილიყო, რაიცა ფრთა შეკვეცილ ადგილობრივ ნაციონალიზმის ფონზე კიდევ მეტის სიმწვავით გამოჩნდებოდა რუსული შოვინიზმი. ეს აზრი გატარდა აგრეთვე თათბირზედაც. აქედან აშკარაა შემდეგი: შოვინიზმთან ბრძოლის დროს პირველ-ყოვლისა და მეტად მძლავრი უნდა დაეცეს უფრო მძლავრ ნაციონალიზმს და შემდეგ სათანადო ლახტი ადგილობრივ ნაციონალიზმს. პარტიის აზრით ეს გასწმენდს გზას, მოამზადებს ნიადაგს, პირობებს ყველა ერების ძმური კავშირის და ნაციონალური ცხოვრების განვითარებისათვის.

ასეთია კომპარტიის ნაციონალური პროგრამა და ტაქტიკა. აქ არაა საქმე ერთი და სიტყვა მეორე, აქ არაა თილისმა და მოტყუება, ეს ეროვნულ უფლებათა ხარტიაა მანუილსკის ენით რომ ვსთქვათ. ეს პროგრამა **პრინციპიალურია**, ბევრი ახალი, მძლავრი, შესანიშნავია ამ პროგრამაში.

აი მთელი ეს მოძრაობა უფრო შენიშნა ამხ. სან-დონმა, ვიდრე სერგო ამაღლობელმა. სან-დონი ააღფრთოვანა ამ ტალღამ, წაიყვანა ისტორიაში და შორეულ წარსულიდან დაიწყო კომუნისტების ახალი ნაბიჯის გამართლება,—ნაციონალური საკითხი მარქს-ენგელსაც კარგად ესმოდაო. სერგო ამაღლობელს ეს გადაჭარბებულად მოეჩვენა, პარტიული ამხანაგის ფსიხიკაში დაღლილობის ელემენტები მოსძებნა და მწუხრი თვალებით მიმოიხედა ირგვლივ—ლიკვიდატორები ხომ არ შემორტყმია პარტიის ციხე-სიმაგრესო.

ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება სან-დონის წერილებს არ მოუხდენია. პირიქით ის მეტად სასარგებლო სალიტერატურო გამოსვლა იყო, როგორც პარტიის, ისე საქმისათვის, თეორიისათვის სასარგებლო. კარგია, რომ ახალ კომუნისტებს ძველ კომუნისტების აზრი გააცნოთ თუნდაც ეს არ იყოს ჩვენი მოვალეობა. კიდევ მეტი რომ იწერებოდეს ეროვნულ საკითხზე დალაგებითი, სერიოზული, საქმიანი, თეორიული და პრაქტიკული, რასაკვირველია, ჩვენ მოწმე არ ვიქნებოდით ვანო სტურუას შეცდომების და მემარცხენე-მემარჯვენეები კომპარტიაში უფრო ადრე ჩასჭიდებდნენ ერთმანეთს ამხანაგურ ხელს, ვიდრე ეს მოხდა ნამდვილად.

თედო ღლონტი.

ვნელობით,—უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად რუსულ ენაზე.

გ.—ყოველგვარი განკარგულება, განცხადება და წესები,—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში მიმომსვლელ ვაგონებში გამოკრული,—უნდა იწერებოდეს, ერთსა და იმავე დროს,—წინა მუხლში აღნიშნულ ოთხ ენაზე.

დ.—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი ცალკე რესპუბლიკების ფარგლებში მიწერ-მოწერა გზის ხაზის დაწესებულებასთან არატეხნიკური ხასიათისა—უნდა სწარმოებდეს ორ ენაზე: სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად რუსულ ენაზე.

ე.—გზათა სამმართველოს ყოველი ბრძანება, ცირკულიარი და დეპეშა ტეხნიკურ-განკარგულებითი ხასიათისა,—ვიდრე ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკათა ენებზე ტეხნიკური ტერმინოლოგია დამყარდებოდეს,—გაიცემა რუსულ ენაზე.

ვ.—მთლად ტეხნიკური, მატერიალური და ფულის ანგარიში რკინის გზების სამმართველოში სწარმოებს რუსულ ენაზე.

ზ.—რკინის გზების სამმართველოს განყოფილებათა (სლუჟბა) შორის შინაგანი სამსახურებრივი მიწერ-მოწერა სწარმოებს რუსულ ენაზე.

2. ამიერ-კავკასიის რკინის გზებისა და გზატკეცილების ხაზისათვის.

ა.—შეკითხვა და პასუხი ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობის დაწესებულებათა მიმართ უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

ბ.—ტვირთისა და ბაგაჟის გადასაზიდი დოკუმენტიბი, როგორც ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შიგნით, ისე სატრანზიტო მიმართულებისათვის, შედგენილ უნდა იქნეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად რუსულ ენაზე.

გ.—ყოველგვარი სამსახურებრივი არა ტეხნიკური ხასიათის მიწერ-მოწერა ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ, რესპუბლიკის შედგენილობ[illegible] შემავალი ცალკე რესპუბლიკების ფარგლებში უნდა სწარმოებდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე ან რუსულ ენაზე.

დ.—ტეხნიკური, მატერიალური და ფულის ანგარიში, აგრეთვე მთლად ანგარიშთან დაკავშირებული მიწე-მოწერა,—როგორც ცალკე რესპუბლიკის შიგნით, ისე მეზობელ რესპუბლიკებთან და გზათა სამმართველოსთან,—დროებით, ვიდრე ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა ენებზე ტეხნიკური ტერმინოლოგია დამყარდებოდეს,—უნდა სწარმოებდეს რუსულ ენაზე.

ე.—ყოველგვარი სამსახურებრივი ურთიერთი მიმართვა—არა ტეხნიკური ხასიათისა ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი სხვა და სხვა რესპუბლიკის რკინის გზის ხაზის სარკინისგზო დაწესებულებათა შორის და გზატკეცილების დაწესებულებათა შორის უნდა სწარმოებდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად—რუსულ ენაზე; ხოლო ტეხნიკური ხასიათის მიწერ-მოწერა სწარმოებს რუსულ ენაზე.

ვ.—მიწერ-მოწერა არატეხნიკური ხასიათისა, გზის ხაზიდან წარგზავნილი გზათა სამმართველოში, უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად რუსულ ენაზე.

ზ.—სამსახურებრივი ხასიათის დეპეშა, საექსპლოატაციო-ტეხნიკური საანგარიშო საკითხების შესახებ ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში გადაცემისათვის, უნდა იწერებოდეს და გადაიცემოდეს რუსულ ენაზე.

3. კერძო დაწესებულებასთან და პირთან ურთიერთობრივი მიმართვისათვის.

ა.—ყოველგვარი განცხადება, რომელიც შეტანილი იქნება კერძო პირის მიერ, როგორც გზათა სამმართველოში, ისე გზათა სახაზო დაწესებულებაში, მისაღებად სავალდებულოა სათანადო რესპუბლიკის ენაზე, სათანადო რაიონის ნაციონალური უმცირესობის ენაზე და რუსულ ენაზე.

ბ.—ყოველი დოკუმენტი და ცნობა მიცემულ უნდა იქნეს მთხოვნელის სურვილისამებრ იმ ენაზე, რომელიც მან აირჩია ზემოაღნიშნული „ა“ პუნქტის თანახმად, ან ერთ-ერთ ამ პუნქტში მოხსენებულ ენაზე.

გ.—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების ფარგლებში კერძო პირისა და დაწესებულების მიერ გაგზავნილი დეპეშა მისაღებად სავალდებულოა სათანადო რესპუბლიკის ენაზე ან რუსულ ენაზე,—ხოლო ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში გადასაცემი დეპეშა მიიღება და გადაიცემა რუსულ ენაზე, ვიდრე ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ენებისათვის საამისო ტეხნიკური შესაძლებლობა შეიქმნებოდეს.

დ.—ამა დებულების სრულის თანადობით შესასრულებლად გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა უნდა დაუყოვნებლივ გამოსცენ ინსტრუქციები და წესები ამა დებულების შეფარდებისათვის.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

მ. ორახელიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის

მაგიერ **ივანიშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის მაგიერ

ტრეივას.

ღამე ვაკეში

ღამეა შავი და გულსაკლავი.
(ვნანობ, ეს ცრემლი რომ ვერ დავმალე).
ფანჯრიდან მოსჩანს ხუთი ვარსკვლავი
და გაღმა ყივის ორი მამალი.

ღამეა, ვწევარ ფიქრი გართმულ;
კედლებთან ვიღაც მოხუცი გმინავს.
გზაში ძაღლივით ღმუის მავთული
და ღამის ქარი აწვალებს მინას.

ღამეა შავი, და ჩნდება დარდი,
გულიდან ისევ ამოდის კვნესა.
ოთახში თეთრი სიჩუმე დადის.
სიჩუმე დადის, როგორც პრინცესა.

ამეღამ ჩვილებს ძილი არ უნდა;
მოდის ახალი ფიქრების წყება.
ქარი წავიდა, ისევ დაბრუნდა,
ისევ გაისმა ძაღლების ყეფა...

ტერენტი გრანელი.

ახალი ამბები

— **შრომის კანონთა კოდექსი ქართულ ენაზე.** შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა გამოსცეს შრომის კანონთა კოდექსი ქართულ ენაზე 100 ცალი.

— **დახმარება შრომის უნარ დაკარგულ მასწავლებელ ქალებს.** ბორჩალოს მაზრის დამზღვევ კასამ შუამდგომლობა აღძრა ცენტრალურ სოციალურ დაამზღვევ კასის წინაშე, დროებით შრომის უნარ დაკარგულ მასწავლებელ ქალთა დახმარების მიცემის შესახებ. შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნა.

— **ორთქლის ქვებზე გადასახადის შეუტანლობის გამო.** შრომის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა შრომის დაცვის განყოფილებას, რათა მიღებული იქნას სათანადო ზომები გადასახადთა დროზე შემოტანის შესახებ.

— **დაჯარიმება.** ალმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს განყოფილებამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დააჯარიმა შემდეგი ირები: ალ. მელიქ-სააკოვი 1 ჩერნოვეცით, დუბელირი 1 ჩერ. და ლიმონადის ქარხნის პატრონი ელიზბარიანცი 10 ჩერ.

— **შავ ბირჟაზე.** ვალიუტით ვაჭრობისათვის კონფისკაციის წესით ჩამორთმეული იქნა: სააკ მიკირტიჩიანისაგან 10 ლირა, ოგანეზ შავშტიანცისაგან კი 340,000,000 მ. ა. კ. ნიშნები, 30 მ. ოქროთი და 6-ნახ. ლირა.

— **შრომის ბირჟა.** 24 აგვისტოს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადა 220 უმუშევარი, მოთხოვნილება იყო 50 უმუშევარის, გაიგზავნა სამუშაოზე 56 უმუშევარი.

— **ქურდობა.** 1 სამილ. რაიონში წყნეთის ქ. № 30 გაქურდული იქნა მოქ. ყიფიანის ბინა მისი საავარაკოთ ყოფნის დროს, საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები, ღირებული 200,000,000,000 მანეთის, ბოროტ-მოქმედები არ არის აღმოჩენილი.

— მე-4 სამილიციო რაიონში ნახშირის ჩიხში გაქურდული იქნა მოქ. გრიგოლ შახნაზაროვისბინა. წაღებულია სხვა და სხვა ნივთები; ღირ ებულება უდრის 500,000,000 მან. ბორ.-მომქმედი არ არის აღმოჩენილი.

— მე-5 სამილიც. უბანში ვორონც. ქ. № 13 გაქურდული იქნა მამედ-ზადი ასკარ-ზადეს ბინა, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებულება უდრის 5000.000,000 მ. ამ საქმის შესახებ ეჭვით დაპატიმრებულია ვინმე ქალიშვილი ელენა კულასოვი.

— მე-5-ე სამილიციო რაიონში დაბასანის ქუჩა № 3 გაქურდული იქნა მოქ. გოგოსაძის ბინა, საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები, ღირებულება უდრის 300.00000 მან. ბოროტ-მომქმედები ჯერ ჯერობით არ არის აღმოჩენილი.

— **თავის დაჭრა.** ნიკოლოზ დურჩისინმა დაიჭრა თავი თოფით. მიზეზი თავის დაჭრისა, როგორც თითონ განაცხადა სახაზინო ფულის გაფლანგვაა.

— 23 აგვისტოს ქობულეთში, ზღვაზედ ბანაობის დროს გარდაიცვალა ეფროსინე ძაგნიძე ნაძალადევში მუშათა წრეში კარგად ცნობილი მოხუცი დედა. მიცვალებულს გადმოასვენებენ ნაძალადევში დასაკრძალავათ. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული ჩვენ გაზეთის ქრონიკაში.

პარტიაში

ხ. ძონძირი. (სენაკის მაზრა) შაბათს, 11 აგვისტოს, ადგილობრივი კლუბის ეზოში შესდგა ძონძირის მემარც. სოც.-ფედ. სარ. პარტიის უჯრედის კრება. კრებას დაესწრო უჯრედის მთელი შემადგენლობა. კრება გაიხსნა ნაშუადღევის ოთხს საათზე.

თანახმად წინა კრების დადგენილებისა (5 აგვისტო), ეთხოვა ადგილობრივ ალმასკომს კლუბის დარბაზი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ იქნა თხოვნა დაკმაყოფილებული, რის გამო კრებამ შემდეგისათვის ამ საკითხის მოგვარება დაავალა ძონძირ-ისულის პარტკომს.

პასუხისმგებელ ამხანაგებისაგან იქნა წაკითხული წიგნაკი „ჟორჟაძის ნაწერებიდან“ და თითოეული მუხლი სიტყვა-სიტყვით განმარებული.

აუდიტორიამ დიდის ყურადღებით მოისმინა შინაარსი. ბოლოს გაიმართა კამათი და შეკითხვები.

შემდეგი კრებისათვის პასუხისმგებელ მდივანს დაევალა გ. მუშიშვილის „სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი-“ს შინაარსის დამზადება და გამოცემა.

კრებამ მოისმინა შინაარსი კვირის განმავლობაში პრესაში მოთავსებული შესანიშნავი ცნობებისა.

დაევალა პასუხისმგებელ მდივანს ყოველ კრებებზე გააკეთოს მოხსენება პრესაში მოთავსებულ ცნობებზე.

კრება ულრმეს მადლობას უცხადებს ამხ. გრ ხოფერიას, რომელმაც დაუთმო უჯრედს საკუთარი გაზეთი.

დასასრულ კრებამ დაადგინა მორიგი კრება მოხდეს 18 ამ თვეს ისულის უჯრედთან ერთად, სადაც გაირჩევა საერთო საკითხები, როგორიც არის სამაზრო კონფერენციისათვის დელეგატების არჩევა, წარმოდგენის საკითხი და სხ. ასეთები.

უჯრედი მოითხოვს ძონძირ-ისულის პარტკომისაგან აღნიშნულ დღეს კრებაზე მოწვეულ იქნეს ამხ. გრიშა ხოფერია, რომელიც. გააკეთებს მოხსენებას.

კრება დაიხურა სრულ 7 საათზე.

მდივანი **აკ. კუცია.**

ტფილისის კომიტეტთან არსებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოდან წიგნების მიღება შეიძლება ყოველ დღე საღამობით 5—8 საათამდი.

ტფ. კ—ის მდივანი: **მ. ხეფერთელაძე.**

ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს პროვინციებიდან ახლად ჩამოსულ სტუდენტებს გამოცხადდენ აღრიცხვაზე კომიტეტში საღამობით 6--8 საათ.

ქალთა წრე

რამოდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც საქ. მემარცხ. სოც.-ფედ-ტა პარტიაში იკითხება სისტემატ. მოხსენებები ქალთა საკითხზე, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ ქალთა გათვითცნობიერებისა და თავის თავათ დაინტერესებისათვის მიღებულია ყოველივე ზომები გარდა იმ მცირე ჯგუფისა, რომელიც ამ წრეს ხელმძღვანელობს, არ ვართ დაინტერესებულნი თავის ბედით და ძლიერ მცირე მონაწილეობას ვღებულობთ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში.

რა თქმა უნდა ამას თავის გასამართლებელი საბუთი აქვს იმ მხრით, რომ მას რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში ქალს კლიტეს ადებდენ ტუჩებზე და განგებ ამუნჯებდნენ, მაგრამ დღეს, როდესაც უკვე მოვესწარით ჩვენს საოცნებო თავისუფლებას, დღეს როდესაც ყოველივე დაჩაგრულს შეუძლია აღიმაღლოს ხმა და გამოსთქვას თავის აზრი,—ნუ თუ ქალმა ვერ უნდა თქვას ორიოდე სიტყვა ისეთ პატარა წრეში, როგორიც არის ჩვენი წრე.

რაშია საქმე? ნუ თუ ქალი არ უნდა დააინტერესოს თავის ბედმა—წარსულმა და მომავალმა?

ნუ თუ ქალი გულის ფანცქალით არ უნდა შეგებებოდა საუკუნოების განმავლობაში დაჟანგებული ბორკილების დამსხვრევას?

ნუ თუ ქალის მიზანი მარტო მით ამოიწურება, რომ ის ფორმალურად ქალაღდზე გაეთანასწორებიათ უფლებრივად?

ნუ თუ იმისთვის იბრძოდა მშრომელი ხალხი და იღვრებოდა აუარებელი სისხლი, რომ საზოგადოების ნახევარი და თითქმის უმეტესი ნაწილი ისევ იმ მდგომარეობაში დარჩენილიყო და არავითარი აქტიური მონაწილეობა არ მიეღო მშრომელთა საბოლოო განთავისუფლების საქმეში? რად გვინდა ის თავისუფლება, რომელსაც სინამდვილეში ვერ მოვიხმართ?

რად გვინდა ის ლამაზი ფორმა, სამოსელი თუ შინაარსით ისევ ძველი—დაავადებული ვიქნებით?

რად გვინდა ისეთი თავისუფლება, რომელიც ფიქციათ დარჩება?

ნუ თუ ქალი ვერას დროს ვერ გამოიჩენს ამაზე მეტს აქტივობას? ნუ თუ დრო არაა ქალებმა ხმა ამოიღონ, ამუშავდენ და გაამართლონ ის იმედები, რომელიც ჰქონდა მის განთავისუფლების დროს რუსეთის დიდ რევოლიუციას?

რით შეიძლება ყველა ამის დაძლევა, როდის გამოვა ქალი ამ სამარცხვინო მდგომარეობიდან, როდის გაუთანასწორდება მამაკაცს და შესძლებს მასთან თანამშრომლობას?

დროა გამოერკვეს ქალი სალათას ძილისაგან და შეურიგდეს იმ ფაქტს, რომ ის დიდი ბავში არ არის.

დროა ისიც ჩაებას საერთო ბრძოლაში და მეტი აქტიური მონაწილეობა მიიღოს მუშათა და გლეხთა განთავისუფლების საქმეში.

ხ. ჩხენკელი.

მიწად-მოქმედების კომისარიატის საყურადღებოდ

მთელ რესპუბლიკაში ტარდება ამ ჟამად მიწის რეფორმა, რომელიც გამოიხატება მიწების გლეხთა შორის განაწილებაში. ამ რეფორმის დროს მიწად მოქმედების კომისარიატის აგენტები მიწის ზომის ერთეულად ღებულობენ ძველ რუსულ ერთეულებს, როგორიც არის საჟენი და დესეტინა. შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ 80 პროც. ჩვენი მოსახლეობისა არ ხმარობს ამ ზომის ერთეულებს. ყველა მაზრას და მაზრაში ყველა კუთხეს აქვს თავისი საზომავი ერთეულები, ზოგან ანგარიშობენ კოდობით, სოძრობით, ჯაჭვებით, დღიურებით, ქცევით და სხვა. განსაკუთრებით ზომათა მრავალფეროვანება უფრო აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული და მხოლოდ ეხლა მიწის რეფორმის ხალხი ეჩვევა საჟენებს და დესეტინებს.

მთელ საბჭოთა ფედერაციაში თან და თან იდევნება კანონის ძალით ძველი რუსული ზომები და ფეხს იკიდებს მეტრიული სისტემა; ადრე თუ გვიან ჩვენც მოგვიხდება ძველი ზომების გაძევება. რატომ არ შეიძლებოდა ეხლავე მეტრიული სისტემის შემოღება, თუ კი ხალხმა სულ ერთია, ერთნაირად არ იცის არც საჟენი და დესეტინა და არც მეტრი და ჰექტარი. ჩემის აზრით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა: ნულარ დავაჩვევთ ხალხს ძველ რუსულ ზომებს არამედ პირდაპირ გადავიდეთ მეტრიულ სისტემაზე. თუ ევროპიული სახელები „მეტრი“, „ჰექტარი“, „არი“, „კილომეტრი“ და სხვა ეუცხოვება ხალხს, მაშინ შეგვიძლია მათ ქართული სახელები დავარქვათ და მით ადვილი შესათვისებელი გავხადოთ. მეტრ. სისტემის შემოღება გაძნელდება, კერძოდ დასავლეთ საქართველოს მაზრებში, მაგრამ ამას არ უნდა შეუშინდეთ და უპირველესად იქ, სადაც დესეტინას და საჟენს პირველად იწყებენ ხმარებას, სჯობია მეტრიული სისტემა გავაბატონოთ.

იოსებ ვარძიელი.

მუშათა და გლეხთა მილიციის ცხოვრებიდან.

ტრიბუნის № 548 მე მქონდა მოთავსებული წერილი „მუშათა და გლეხთა მილიციის ცხოვრებიდან“, სადაც აღვნიშნე მილიციის ვალდებულება, გაჯანსაღება, მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობა და სხვა.

მილიციის სრული გაჯანსაღება და უმაღლეს წერტილამდე აყვანა უნდა დაუკავშიროთ და შესაძლოა, მხოლოთ, პროფესიონალურ კავშირის შექმნასთან, რაც დღემდე არ არსებობს და რაზედაც ამ ბოლო ხანებში დიდი სურვილი და ლაპარაკია მილიციელთა შორის, მის განხორციელებაზედ.

რა არის პროფესიონალური კავშირი და რა მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის ცხოვრებაში,—ამის განმარტება ზედმეტია, ვინაიდგან საკითხი ყველასათვის ნათელია. მე კი მხოლოთ მინდა მიუთითო და გამოვსთქვა ჩემი შეხედულება, რისთვის მოითხოვს აუცილებელ საჭიროებას მისი ცხოვრებაში გატარება.

დღეს ჩვენი ვალდებულებაა ფხიზლად ვადევნოთ თვალ-ყური ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეს, მის სამსახურის ასრულების დროს, მის მდგომარეობას, პასუხის-მგებლობას, ზნე-ჩვეულებას,

შის არა სასურველ პირობებით შექმნილ ატმოსფერას და სხვა, რომ სისხლით და ოფლით მონაპოვარს ჩაუყაროთ საბოლოვო საძირკველი.

მილიციელს უჭირავს დიდი საპასუხისმგებლო ადგილი, რომლის ავად თუ კარგათ გამოყენება არის მასზეთ დამოკიდებული მიხედვით, თავდაპირველათ, თავის სინდისისა და სწორეთ ამ მხრივ უნდა მიუდგეთ მილიციელთა პროფესიონალურ კავშირის შექმნას, რომლი საშუალებით მილიცია უნდა გარდიქმნეს თითით საჩვენებელ ორგანიზაციათ, რომ იგი ერჩეოდეს ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეებიდან ცოდნით თავის ვალდებულებისა, ერთგულობით, სიპატიოსნით, სისპეტაკით და უნდა დაუმარხოს ყოველივე მოქალაქეს გულში ის ძველი წარსული, რომლის მოწმენი ჩვენ ვიყავით მენშევიკების ბატონობის დროს, ე. ი. ქრთამის აღება, გარყვნილება, ლოთობა და სხვა.

მილილიციის პროფესიონალური კავშირი რამდენადაც შეეცდება, იმ უფლებებით, რაც მას მინიჭებული ექნება, გააუმჯობესოს მატერიალური მდგომარეობა და ისიც თვითეული კავშირის წევრი უკანონო მოპყრობისაგან. დამნაშავეს კი არამც თუ კავშირიდგან განდევნის, არამედ გამოაქვეყნებს შავ დაფაზედ და შეეცდება მოუსპოს საშუალება სხვა კავშირში შესვლისა იმ შემთხვევაში, თუ დაიმსახურა ის ბრალდება, რაზედაც ჩვენ უთითებთ და, რასაც ადგილი ჰქონდა ძველი რეჟიმის ბატონობის დროს.

მაშ უსურვოთ მუშათა და გლეხთა მილიციის პროლეტარიატს თავისი კანონიერ სურვილების ცხოვრებაში გატარება.

ვლ. მაჭარაშვილი.

ბიბლიოგრაფია

Водоснабжение усадеб и отдельных хозяйств при помощи самокачек инженера В. Добровольскаго. გამოცემა უკრაინის მიწად-მოქმედების კომისარიატისა, 1922 წ.

მიწა, ჰაერი და წყალი, აი სამი საგანი, რომელიც უნდა ჰქონდეს კაცს, რომ წარმატებით აწარმოვოს მეურნეობა. არის ადგილები, რომ მამულს ზედ გვერდზევე ჩამოუდის მთელი მდინარე, მაგრამ რადგანაც მამული რამდენიმე არშინით თუ საჟენით მაღლა ძევს წყლის ზედა პირიდამ, პატრონი ვერ სარგებლობს წყლით, ვერ რწყავს საჭირო დროს მამულს.

მე მინახავს ათობით და ასობით ისეთი მამულები და, ხშირად, მთელი სოფლებიც კი, რომლებსაც სულ ოციოდე საჟენზე ჩამოუდით მდინარეები, მაგრამ წყალი თავისთვის მიდის ქვემოთ და გადახრუკებული მინდვრები კი დაუმუშავებელი უყრიათ მცხოვრებლებს ზედ სახლების წინ. ეს სულ იმისგამო, რომ წყლებს დროთა განმავლობაში იმდენად ღრმად ჩაუხრამავს თავისი კალაპოტი, რომ მცხოვრებნი მაღლა დარჩენილან მთელი თავიანთი მამულებით და მდინარით, რაღა თქმა უნდა, ვეღარ უსარგებლიათ, თუმცა ეჭვი არ არის, რომ პირველ ხანებში მათი მამა-პაპანი სწორედ იმიტომ დამკვიდრებულან მდინარის პირად, რომ წყლით ვისარგებლებთ, კიდით მდებარე მამულებს მოვრწყავთო.

სულ უბრალო კი ყოფილა ასეთი მიუდგომელი წყლის ამოყვანა თუნდა მთელი ასი საჟენის სიმაღლეზე. საჭიროა მხოლოდ **თვით-საქაჩავის** დადგმა ასეთ მდინარეზე, რომელიც ისე აამოქმედებს მას, რომ წყალი თითონ წამოვა მაღლა და შემდეგ მოიხმარეთ, ისე, როგორც საჭირო იქნება თქვენთვის ოჯახში თუ სარწყავად და ან დააგროვებთ საერთოდ (სხვებთან ერთად) აუზებში თუ ხელოვნურ ამბებში და იხმართ იქიდამ სასმელად თუ სარწყავად.

ასეთი თვით-საქაჩავი პირველად გამოუგონიათ ძმებს მონგოლფიერებს და დაუდგამთ კიდეც სენდენში (საფრანგეთშია) 3 ნოემბერს 1797 წელს, სადაც ეს თვით-საქაჩავი მუშაობდა მთელი სამოცი წლის განმავლობაში, მოუშლელად და შეუწყვეტლად აწვდიდა წყალს მაღლობზე მცხოვრებ ხალხს...

მაგრამ, როცა ემავე ძმებმა მონგოლფიერებმა ეხლა პირველი ჰაეროსტატი გამოიგონეს, მათ მის გაკეთება-გავრცელების ზრუნვაში სრულიად მიივიწყეს თვისი პირველი, ჰაეროსტატზე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი გამოგონება, ზემოდ-დასახელებული წყლის თვითსაქაჩავი, და საქმე დავიწყებას მიეცა სადიდხანოდ.

ასე იყო უკანასკნელ დრომდე. ჩვენს დროში, როცა მორწყვის საქმე თითქმის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად გარდაიქცა, ბევრი ქვეყნისთვის ინჟენერებმა გაიხსენეს ძმათა მონგოლფიერების თვითსაქაჩავი და იწყეს მისი ბევრგან გამართვა-მოხმარება (გაგონილი მაქვს, რომ ერთი ასეთი თვითსაქაჩავი უდგას მტკვარში ჩვენს აბსერვატორიასაც ტფილისში).

ბევრი ჩვენი სოფელი დღევანდლამდე მოკლებულია წყალ-სადენებს. ამის გამო ასეთ სოფლებში საჭირო ხდება წყლის ზიდვა ბოჭკებით თუ კოკებით, ხშირად ორი-სამი ვერსის მანძილიდან. ეს კი იაფად არ უჯდება ადამიანს თუ სოფელს! ამიტომ დიდს და აუცილებელს საჭიროებას შეადგენს წყლის ყველგან გამოყვანა და აი აქ, ჩვენის აზრით, დიდს დახმარებას გაუწევდა სოფლის დასახელებული თვით საქაჩავები. წყალი, როგორც ვიცით, ფრიად საჭიროა საქონლისთვის და ფრინველისთვისაც. დამტკიცებულია, რომ კარგი და უხვად სამყოფი წყალის ქონვა ეზოში ფრიად აკეთებს საქონელს: საქონელი მატულობს ტანში, სასაღეში, წველაში და სისუფთავეში, რადგანაც, სულ ერთი როდია, საქონელი მაშინა სვამს წყალს როცა უნდა, თუ მაშინ, როცა ვინმე მადლიანს გაახსენდება იგი და წყალს ან ჰურჭლით დაალევინებს და ან წყალზე გარეკავს...

აი ასეთ საჭირო საგანს ეხება ინჟენერ დობროვოლსკის წიგნაკი და ამიტომ მივაქცევთ მასზე ჩვენი სოფლებისა და მეურნეობის ყურადღებას, მით უმეტეს მეტადრე, რომ ავტორის სიტყვით, თვით-სიქაჩავის გაკეთება სულ უბრალო და ადვილი საქმე ყოფილა, მისი გაკეთება სულ მცირე სახელოსნოსაც კი შეუძლიანო (იმ სურათების მიხედვით, რომლებიც დართული აქვს წიგნაკს). წყალზე მოწყობილი თვით-საქაჩავი ნამდვილი თვით-მამოძრავებელი მანქანაა, დასდგამთ თუ არა თუნდა უმცირესი ძალის წყალზედა თუ წყაროზედ ანუ ჭაში, იგი ხელად იწყებს მოძრაობას და შეუძლიან ამოიყვანოს წყალი თუნდა ასი საჟენის სიმაღლეზე ორას ათას ვედრომდის დღე-ღამეში... გულდას ამერიკული თვით-საქაჩავები არის სხვა და სხვა ზომისა და წონისა: 30 გირვანქიანს ამოჰყავს საათში 50 ვედრომდე წყალი. 50-ს-ას ოც ვედრომდის, ათ-თერთმეტ ფუთიანს—ათას ვედრომდე და სხვა.

ივ. როსტომაშვილი.

აფერისტობა კალმით.

(მოქ. კასიოს წერილის გამო გაზ. „კომუნისტის“ 193.)

გამომცემლობა გაზ. „მწვერვალისა“ კატეგორიულად და საჯაროდ აცხადებს, რომ მოქ. კასიო არის საზიზღარი ცილის მწამებელი.—

ეს პროვოკაციული იერიშები მოდის წინაგანზრახული მიზნით, რომ გაზ. „მწვერვალის“ რედაქციას სახელი გაუტეხონ საზოგადოებაში და მისი გამოცემა შეუძლებელი გახადონ.— ამით მოქ. კასიოს სურს თავიდან აიცილოს გაზ. „მწვერვალის“ სატირიკი იერიშები, რომლის შეხედულებით მისი ჯურის მწერლები არიან დრომოჭმულ, დახავსებულ ბურჟუაზიის ავადმყოფურ ზმანებათა გამომხატველნი და მათი იდეოლოგები პოეზიაში.

აქედან ცხადია, თუ რად გვიტევს ასე უმართებლოდ მოქ. კასიო და რისთვის მოუწოდებს ის საზოგადოებას, ადმინისტრაციას, ზესკნელს, ქვესკნელს ჩვენ შესამუსრავად; მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, თუ რად აქვს მოქ. კასიოს წერილებს ადგილი გაზ. „კომუნისტში“?

ნუ თუ რედაქცია გაზ. „კომუნისტისა“ ვერ ხვდება მოქ. კასიოს ბოროტ ზრახვებს?

მოქ. კასიოს წერილისათვის თავისი სახელი და გვარი ,რომ მოეწერა საზოგადოებაც და მთავრობაც მიხვდებოდა მისს ბოროტ ზრახვებს თავისთავად და მაშინ ჩვენც არ დაგვჭირდებოდა პასუხის მიცემა.—ეხლა რა კი გაზ. „კომუნისტის“ ავტორიტეტს ეფარება ჩვენ ვაძლევთ პასუხის გებაში მოქ. კასიოს ცილისწამებისათვის და იქ ვნახოთ, ვინ აფერისტობს მწერლობის იარლიკით და ვინ აფერისტობს კალმით და გაზ. „კომუნისტის“ ნდობით.-

ეს ჩვენი უკანასკნელი პასუხია, ჩვენ მოუც [illegible] სასამართლოს და თქვენ [illegible] გსურდეთ.

გაზ. „მწვერვალის“ [illegible]
1923 წ. 25 აგვისტო.

წერილები რედაქციის მიმართ

დღემდე არ ვეკუთვნოდი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას.

საქართველოს გასაბჭოების დღიდან ვადევნებდი თვალყურს საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიას და დავრწმუნდი, რომ მისი პოლიტიკური პლატფორმა არის ნამდვილი სალი დამცველი ერისა და სოციალიზმის. დღეიდან უერთდები ამ პარტიას და მსურს ვიდგე მის რიგებში მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

შალვა დიმიტრის-ძე ნუცუბიძე.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგს: 1917 წ. ვმუშაობდი საქ. სოც.-ფედ. პარტიაში. ოჯახური მდგომარეობის გამო მის შემდეგ აქტიურად არ მიმუშავნია, დღეს, დარწმუნებული, რომ მემარცხენე სოც.-ფედ პარტია არის სალი დამცველი ეროვნულ-სოციალისტური თვალსაზრისის, მსურს ჩავეწერო აღნიშნულ პარტიაში.

კონსტანტინე ბერიშვილი.

გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო შემდეგი:

1917 წლიდან ვმუშაობდი საქართველოს სოც. ფედ. სარევოლიუციო პარტიაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შევწყვიტე ყოველგვარი კავშირი მემარჯვენეთა ჯგუფთან და თანაუგრძნობდი მემარცხენეთა ჯგუფს. ეხლა კი გადავდივარ მემარცხენე სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიაში.

შალვა ჯაველიძე.

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო, რომ მიუხედავად საბურთალოს მიწის მუშათა დიდი ნაწილის თხოვნისა, რომ მემუშავნა მიწის ახალ კომიტეტში, რომელიც არჩეულ იქმნა აგვისტოს 24-ს და საზოგადოებამ კი ამირჩია კლვავ ჩემი სურვილის წინაამდეგ, ამიტომ უარს ვაცხადებ ჩემს კომიტეტში არჩევაზე.

გ. მაღრაძე.

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს; 1919 წ. ვირიცხებოდი სოც.-ფედ. სარეულიციო პარტიაში. ხსენებულ პარტიაში მომხდარ განხეთქილების შემდეგ არც ერთ ფრთაში არ მიმუშავნია. დღეს დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. პარტია არის ქართველი მშრომელი ხალხის ეროვნული და სოციალისტური ინტერესის დამცველი, მსურს ვიმუშავო აღნიშნულ პარტიაში.

შალვა დოჭვირი.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ გამოაცხადოთ რწმუნებულ თქვენდამი გაზეთში, რომ ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერლები, ვმუშაობდით 1917—წლიდან სოც.-ფედერალისტების პარტიაში, საბჭოთა ხელის უფლების დამყარების შემდეგ—სხვა და სხვა მიზეზის გამო არ გვიმუშავია, თუმცა თანაუგრძნობდით მემარც. სოც.-ფედერალისტებს. ამ ჟამათ გვსურს აქტიურათ ჩავებათ საბჭოთა საქართველოს აღორძინების მუშაობაში და შევიტანოთ ჩვენი წვლილი, დღეის რიცხვიდან ვუერთდებით საქ. მემარც.-სოც.-ფედერალისტთა პარტიას.

სერგო მესარქიშვილი, გიორგი ცირგილაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

დაკარგა ჩოხატაურის ტეხნიკუმის მე-V კლასის მოწმობა ლეონიდე ვლადიმერის ძე ჩხიკვიშვილის სახელზე, მიღებული 15 დეკემბერს 1921 წელს, რასაც ვაცხადებ გაუქმებულად.

ლეონიდე ვლადიმერის ძე ჩხიკვიშვილი.

№ 445.

დაკარგა მოწმობა მოცემული გორის სამხედრო კომისარისაგან სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების შესახებ № 2350 და ვაცხადებ გაუქმებულად.

№ 443 **ევ. ნოზაძე.**

ყოველთვიური სამეცნიერო კრებული

„ჩვენი მეცნიერება“ № 2—3

იყიდება შემდეგი შინაარსით:

1. პროფ. **შ. ნუცუბიძე,** შპენგლერი, როგორც ევროპიულ აზროვნების კრიზის მაჩვენებელი.
2. **კ. ბაქრაძე,** ალეთეოლოგიური რეალიზმი.
3. პროფ. **დ. უზნაძე,** სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები.
4. პროფ. **გ. ახვლედიანი,** „სა-ო“ და „ური-ს“ მნიშვნელობა.
5. პროფ. **გ. ახვლედიანი,** პროტეტული ხმოვნის საკითხისათვის ოსურში.
6. **ბ. ჩიქობავა,** 3—ინის რეფლექსები ფერეიდნულში.
7. დოცენტი **გრ. ნათაძე,** გლეხების გადასახადები უძველეს საბერძნეთში.
8. პროფ. **კ. კეკელიძე,** ორი ექვთიმე ძველს ქართულ მწერლობაში.
9. პროფ. **გ. წერეთელი,** მენანდრას კომედიები.
10. **ხ. გორგაძე,** ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში.
11. პროფ. **ბერიტაშვილი,** ექიმი იაშვილი, აგზნებულების სხვადასხვაობა კუნთის ფარგლებში.
12. პროფ. **ა. ნათიშვილი,** ადამიანის აორტის რკალის დატოტიანების წესის ემბრიონალური დარღვევა.
13. პროფ. **ვ. მოხეშვილი,** საქართველოს რესპუბლიკის საბანლეოლოგიო პუნქტების მოწყობის გ
14. რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობის მოღვაწეობა.

დამატება: საენათმეცნიერო ტერმინოლოგია (მიღებულია საქ. სახ. სამეცნიერო საბჭოს მიერ.)

ფასი 1 მ. 50 კაპ. ჩერვონ. შეძენა შეიძლება კრებულის რედაქციაში, კადეტის ქ. № 6, სტუდ. კოოპერატივში, რუსთავ. პრ. № 40 სწარმოებს ხელის მოწერა № 4. ფასი 1 მან. ჩერვონ.

№ 395.—3—3. პასუხისმგებელი რედ. და გამომცემელი **ან. ჩილაკაძე**

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 5 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ამ.-კავ. რკ. გზ. გამგეობის ბინაზე (ვაგზლის ქუჩა, № 1) დანიშნულია წერილობითი საჯარო ვაჭრობა ერთი წლის ვადით იჯარით გაცემაზე:

ვაგონ-რესტორანების №№ 933 და 912 (მოიჯარადრე—ცხომლიძესი და მაჯანაშვილის).

ვაგონ-ბუფეტის, რომელიც მოძრაობს №№ 3 (4 და 7) 8 მატარებლებთან ერთად,—ცივი საჭმელებით (მოიჯარადრეები—ჩახუნაშვილი, ძიძიგური, თოდუა და მუჯირი).

1 კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებზე: ფოთი—სად. ფოთი—ნავთსადგური, სუფსა, რიონი, ქუთაისი, შორაპანი, მოლითი, ბორჯომი, თელავი, კარდანახი, წნორის-წყალი, სანაინი, შაგალი, ეჩმიაძინი, საგირი, სურახანი, იაშმა, კუსარ-ჩაი.

ხავაჭრო კარვების შემდეგ სადგურებზე:

აბაშა (კიკნაძის შენობა), შორაპანი, ხაშური (ხარებავას შენობა), წალვერი, მუკუზანი, შაგალი, კარაკლისი, ალექსანდროპოლი, კარაბურუნი, საგირი, აჯიკაბული, სურახანი, კუსარ-ჩაი.

საპირფარეშოების შემდეგ სადგურებზე: ლანჩხუთი, საჩხერი, გორი, სანაინი, კარაკლისი, გუმრში, ერივანი, ნახიჩევანი, ხაჩმასი და ნატანები.

შემნახველი კამერის სად. ტფილისში.

შკაფების შინა-მრეწველობის საგნებით ვაჭრობისათვის: სადგურები ბაქო 1 და საბუნჩი.

ის პირები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, თავისი განცხადებები დაბეჭდილ კონვერტებში ან უნდა ჩააგდონ სპეციალურად ამისთვის საბჭოს დარბაზის კარებთან გამოკიდულ ყუთში, ან გამოგზავნონ ასეთები წინდაწინ ფოსტით. კონვერტებზე, რომლებიც მოტანილი იქნება პირადათ ან ფოსტით გამოგზავნილი, უნდა ეწეროს: „ამ.-კავ. რ. გზ. სამმართველოს, ბუფეტების, კარავებისა და სხვა საჯარო ვაჭრობისათვის“. განცხადებაში კი აღნიშნული უნდა იყოს, სახელდობრ, რის აღება სურს იჯარათ მომწერს და როგორია მის მიერ წინადადებული წლიური ფასი მშვიდობიან დროის მანეთის ანგარიშით.

განცხადებას თან უნდა დაერთვას:

1) ქვითარი ბეს შეტანის შესახებ, რომელიც უნდა შეადგენდეს წინადადებულ ფასის არა ნაკლებ 10 პროც. რამოდენიმე სავაჭროს აღების მსურველებმა უნდი შემოიტანონ ცალკე განცხადებები აღნიშნულ წესით და წარმოდგენილ საიჯარო ფასის ცალკე ბეს შეტანით, რომელიც ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა შეადგენდეს საიჯარო ფასის არა ნაკლებ 10 პროც.-სა. 2) შემოტანილ განცხადებებზე თანდართული უნდა იქნეს ღერბო გადასახადის ნიშნები.

იჯარით გაცემის დროს სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებულ ფასებით, არამედ რკინის-გზის მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე სხვა მოსაზრებითაც.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 12—2 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა (ტფილისი, ვაგზლის ქუჩა, № 1, ოთახი № 64).

№ 397.—3—3.

[illegible] მთავარმართველობის მიერ № 572 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სა, კონსტანტინის ქუჩ. № 4